პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, მოსკოვის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 51 (5451) | პარასკევი, 3 მარტი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია

ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშით (მოწინავე)

მოსკოვის საოლქო და საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენციის მისალმებანი ამხანაგებს **სტალინს** და **მოლოტოვს** (1-ლი გვ.)

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობამ დაამთავრა მუშაობა (1-ლი გვ.)

ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება (1-ლი გვ.)

ნ. კ. კრუპსკაიას დაკრძალვა (1-ლი გვ.)

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობა—ამხანაგებს **კ. ჩარკვიანის** და **კ. შეროზიას** მოხსენებათა გამო (მე-2, მე-3 და მე-4 გვ.)

უცხოეთში:

ქამათი თემთა პალატაში გენერალ ფრანკოს ცნობის საკითხის შესახებ (მე-4 გვ.)

ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ასანიას გადადგომა (მე-4 გვ.)

ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშით

გუშინ დაამთავრა თავისი მუშაობა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XII ყრილობამ.

ოთხი დღის განმავლობაში ბიმდინარეობდა საქმიანი და გულმოდგინე მსჯელობა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნების—ამხანაგების **კ. ჩარკვიანის** და **კ. შეროზიას** მოხსენებების გარშემო—ამხანაგების **ვ. მოლოტოვისა** და **ა. ჟდანოვის** მოხსენებების თეზისებზე.

საილუსტრაციო ფაქტებით და კონკრეტული წინადადებებით მდიდარმა, ღრმა შინაარსიანმა მოხსენებებმა და გამოსვლებმა ყრილობის წინაშე გადაშალეს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების დიადი შედეგების წარმტაცი სურათი, მესამე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული პერსპექტივები, ორდენოსანი საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესანიშნავი კონტურები, ლენინ-სტალინის პარტიის ძლევამოსილება და მისი როლის შემდგომი ზრდა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს ბოლშევიკების საუცხოო დარაზმულობამ, პარტიული ორგანიზაციების იდეურ - პოლიტიკურმა ზრდამ მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა ყრილობის მთელ მუშაობაში. XII ყრილობა განსაკუთრებული ორგანიზებულობისა და მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდა. ეს ყრილობა წარმოადგენდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების უმაგალითო ერთსულოვნებისა და მონოლიტური მთლიანობის კიდევ ერთ ახალ ბრწყინვალე დემონსტრაციას.

ყრილობამ განსაკუთრებული სიძლიერით გვიჩვენა საქართველოს ბოლშევიკების უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული ბრძენი ბელადისადმი, ვის საამაყო სახელთანაც დაკავშირებულია სოციალისტური ხუთწლედების წარმატებით დაგვირგვინება, ვის დიად სახელთანაც დაკავშირებულია მარქსიზმ - ლენინიზმის genიალური იდეების ისტორიული ზეიმი.

დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების მზურვალე გრძნობით იყო გამსჭვალული ყრილობის საქმიანობა. დიდი **სტალინისადმი** სიყვარულის თბილი გრძნობა იყო ჩაქსოვილი თვითეული ამხანაგის გამოსვლაში, როდესაც ისინი ტრიბუნიდან მგზნებარე სიტყვებით მოუთხრობდნენ ყრილობას შესანიშნავ საქმეებზე, იმ უდიდეს გამარჯვებებზე, რომლებითაც ამაყობს ბედნიერი ქართველი ხალხი, იმ წარმატებებზე, რომლებმაც საქართველო გადააქცია საბჭოთა კავშირის მარგალიტად.

სწორედ ამ სიტყვებში გაისმოდა მზურვალედ და მგრძნობიარედ ქართველი ხალხის საამაყო შვილის, საუკეთესო სტალინელის — ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელი, ვინც სტალინურ ტრადიციებზე აღზარდა და გამოაწრთო საქართველოს ბოლშევიკები, ვინც რამდენიმე წლების განმავლობაში მართავდა ორდენოსანი საქართველოს საჭეს, ვინც ასე განუხრელად და თანმიმდევრულად ატარებდა ლენინ-სტალინის ბრძნული პოლიტიკას, ვინც წლების განმავლობაში ნერგავდა ჩვენში ბოლშევიკურ პრინციპულობას, მტრებისადმი სტალინურ შეურიგებლობას, შემტევ რევოლუციურ სიფხიზლეს და შეუდრეკელ ნებისყოფას ყოველგვარ სიძნელეთა დასაძლევად.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს ბოლშევიკებმა თავისი საყვარელი ხელმძღვანელის ამხ. **ლ. ბერიას** მეთაურობით შესძლეს უმნიშვნელოვანესი წარმატებათა მოპოვება, რომელთაც რადიკალურად შესცვალეს საქართველოს სახე, ჩააყენეს იგი საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკების რიგში.

ახლა როცა სოციალიზმის ქვეყანა დგას კოლოსალურ ამოცანების წინაშე, როცა გადაშლილია ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები, საქართველოს ბოლშევიკები რაზმავენ შემოქმედებითს ძალებს და ამახვილებენ თავის ორგანიზაციულ დარაზს იმისათვის, რომ შესაშე სტალინურ ხუთწლედში გიგანტური ნაბიჯით წავიდეს წინ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება.

საქართველოს ბოლშევიკების ყრილობამ, ერთსულოვნად მოიწონა რა ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები, განსაკუთრებით გაამახვილა ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი ელექტროფიკაციის, ნავთისა და ქვანახშირის წარმოების, იშვიათი ლითონებისა და ახალი სამრეწველო კერების მძლავრი განვითარების საკითხები, სახ.-სამ. არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარების საფუძველზე კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების საკითხები.

ანნორაციელებდნენ რა დიდი **სტალინის** ბრძნულ მითითებებს ამხანაგ **ლ. ბერიას** მეთაურობით, საქართველოს ბოლშევიკებმა მიიღეს უდიდესი გამოცდილება სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, შეიარაღებულნი XII ყრილობის გადაწყვეტილებებით, ახალი ძალით გაშლიან ბრძოლას შესამე სტალინური ხუთწლედის გიგანტური ამოცანების განსაზღვრელებლად; ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის განსამტკიცებლად.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს კარგად ახსოვთ ბრძენი ბელადის მითითება იმის შესახებ, რომ სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენში იარსებებენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები, მკვლელები, რომ საჭიროა ჩვენი ხალხი მუდამ ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში.

საქართველოს ბოლშევიკები კიდევ უფრო გულმოდგინედ გაშლიან მუშაობას მარქს - ენგელს - ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების შესასწავლად, მსოფლიოს გარდამქმნელი თეორიით შეიარაღებისათვის ბრძოლას, კიდევ უფრო აამაღლებენ შემტევ რევოლუციურ სიფხიზლეს, ბოლომდე ამხელენ და გაანადგურებენ კომუნიზმის მტრების ნარჩენებს, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავის რიგებს ლენინ-სტალინის უძლეველი დროშის ქვეშ.

საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა სტალინმა და რომელიც წლების განმავლობაში გაიზარდა და გამოიბრძმიდა ლენინიზმის მტრებთან ბრძოლაში, იყო და ყოველთვის იქნება საკ. კ. პ. (ბ) ერთგული რაზმი, სტალინური ცენტრალური კომიტეტის ერთგული დასაყრდენი.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს წინასაყრილობო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები, ჩვეული დარაზმულობით მივლენ XVIII საკავშირო ყრილობაზე.

საქართველოს ბოლშევიკთა რჩეული ადამიანები საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან გულმხურვალედ მოუთხრობენ ლენინ-სტალინის პარტიას, მშობლიურ **სტალინს** ახალ საამაყო გამარჯვებებზე, იმაზე, თუ როგორ ბედნიერად და საამურად ცხოვრობს ქართველი ხალხი, იმაზე, თუ როგორ იფურჩქნება ორდენოსანი საქართველო სტალინური კონსტიტუციის მოელვარე მზის სხივებს ქვეშ.

თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი **ს. მ. ბუდიონი** ხელს აწერს სამხედრო ფიცის ტექსტს. მარცხნივ სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი **კ. ე. ვოროშილოვი.**

საკდესის ფოტოქრონიკა

მოსკოვის საოლქო და საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენცია

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძე!

მოსკოვის გაერთიანებული საოლქო და საქალაქო პარტიული კონფერენცია მოსკოვის ბოლშევიკების მრავალათასიანი არმიის სახელით მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გითვლით თქვენ, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა მთავრობის ნაცად მებრძოლ ხელმძღვანელს!

ვიხილავთ რა თქვენი მოხსენების თეზისებს XVIII პარტიულ ყრილობისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ჩვენ, კონფერენციის დელეგატები, განვიცდით უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობას ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოსათვის.

ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, ამხანაგი **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით, ორი ხუთწლედის შედეგად ძირითადად განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა—სოციალიზმი, გიგანტურად განმტკიცდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

მარქსიზმ - ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით შეიარაღებულ ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას მტკიცედ მიჰყავთ საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი ხალხები კომუნიზმის გზით. იზრდება და მტკიცდება მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია — მუშათა კლასის დიქტატურის საფუძველი. საბოლოოდ განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება. სულ უფროდაუფრო მკაფიოდ და მრავალფეროვნად იფურჩქნება შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა მრავალეროვანი სსრ კავშირის ხალხებისა. ჭეშმარიტად უმაგალითოდ იზრდებიან ადამიანები და სახალხო ტალანტები. ხალხის სიღრმიდან გამოდიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ათასობით შესანიშნავი სტახანოველები, მეცნიერებისა და ხელოვნების ათასობით ნიჭიერი ადამიანები.

სოციალისტური დემოკრატიის გაფურჩქვნა, საბჭოთა ხალხის დიადი მორალურ - პოლიტიკური ერთიანობა, კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ურღვევი სიმტკიცე—ეს სწორედ ის ძალაა, რომელიც მესამე ხუთწლედის მომავალ გამარჯვებათა საწინდარს წარმოადგენს, და ამ ძალას ვერ გაუძლებს საბჭოთა ხალხის მტრების ვერავითარი ოინი.

კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარემოცულ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების პირობებში განსაკუთრებით იზრდება როლი და მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც მუშებისა და გლეხების ხელში მთავარ იარაღს წარმოადგენს კაპიტალისტური გარემოცვისგან მშრომელთა სოციალისტური მონაპოვარის დასაცავად.

საბჭოთა კავშირმა გაანადგურა და მოსპო ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელ დაქირავებულ აგენტთა ძირითადი ბუდეები და კიდევ უფრო მტკიცე და ძლევამოსილი გახდა.

ლენინურ - სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მოსკოვის ბოლშევიკები მომავალშიაც დაუზოგავად გაანადგურებენ ხალხის მტრებს, გააძლიერებენ რევოლუციურ სიფხიზლეს.

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძე! მოსკოვის ბოლშევიკები, სავსებით და მთლიანად იწონებენ რა თქვენი მოხსენების თეზისებს, გაორკეცებული ენერგიით იბრძოლებენ მესამე სტალინური ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის და მარქს-ენგელს - ლენინ - სტალინის დროშით გასწევენ წინ კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ლენინ - სტალინის პარტიის XVIII ყრილობას!

გაუმარჯოს მესამე სტალინურ ხუთწლედს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს დიდ სტალინს!

მოსკოვის საოლქო და საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენცია

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს, —მგზნებარე ბოლშევიკური სალამი მოსკოვის VII საოლქო და VI საქალაქო პარტიულ კონფერენციისაგან.

ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ, თქვენ, მისი უერთგულესი თანამებრძოლი, მეთაურობთ რა სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთ, ჰქმნით კომუნიზმის დიად საქმეს, სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერების დიად საქმეს.

მტკიცედ იცავთ და ანვითარებთ რა მარქსიზმ - ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებას, შეურიგებლად იბრძვით რა საბჭოთა ხალხის ყველა მტერის წინააღმდეგ, თქვენ მიანიჭეთ საბჭოთა ხალხს ბედნიერი, საამური და კულტურული ცხოვრება.

თქვენი ხელმძღვანელობით ისტორიის მოკლე ხნის განმავლობაში საბოლოოდ ლიკვიდირებულია ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასები და სავსებით მოსპობილია ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. სოციალიზმი, რაზედაც ოცნებობდნენ კაცობრიობის მრავალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები, რეალურ სინამდვილედ გადაიქცა დედამიწის ერთმეექვსედზე. საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ, უძლეველ სოციალიზმის ქვეყნად, დიდ და უმაგალითო ბრძოლაში ძველ სამყაროსთან შექმნილია მუშებისა და გლეხების მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო.

თქვენი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა გაანადგურა და მოსპო მტრული კლასების ნარჩენები, ხალხის მოღალატენი ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯაშუშები, დივერსანტები და მავნებლები, რომელთაც უნდოდათ ჩვენი აყვავებული სოციალისტური სამშობლო გასაძარცვად მიეცათ კაპიტალისტური ხროვისათვის.

თქვენ, ამხანაგო სტალინ, დაუცხრომლად გვასწავლით ჩვენ, ბოლშევიკებს, რევოლუციურ სიფხიზლეს, უშიშროებას ბრძოლაში და შეურიგებლობას ლენინიზმის მტრებთან ბრძოლაში.

თქვენ გვასწავლით გამჭრიახობას და აუჩქარებლობას რთული საკითხების გადაჭრის დროს, უდიდეს გულხმიერობას და მუდმივ ზრუნვას მშრომელებისათვის. ამ თვისებების შეძენას და მუშაობის ასეთი სტილის დაუფლებას ცდილობს ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი.

მოსკოვის ბოლშევიკებმა, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელებმა თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, თქვენი მითითებათა შესრულების გზით, დიდს წარმატებებს მიაღწიეს მოსკოვის კულტურულ, სოციალისტური ეპოქის შესაფერის ქალაქად გადაქცევის მხრივ. დღითი-დღე იცვლება წითელი დედაქალაქის სახე — ვოლგა-მოსკოვის არხმა, შესანიშნავმა მეტრომ, პირველხარისხოვანმა ხიდებმა მოსკვა-რეკაზე, ასობით ახალმა საცხოვრებელმა სახლმა, სკოლამ, საბავშვო ბაღმა, საავადმყოფომ, ათობით უმაღლესმა სასწავლებელმა და სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტმა—ყოველივე ამან ისე გარდაქმნა მოსკოვი, რომ მას ვეღარ იცნობს კაცი. მოსკოვის ოლქმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია მოსავლიანობის გადიდებაში, საქონლის სულადობის მომატებისა და კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ტექნიკური შეჭურვილობის საქმეში.

მოსკოვის ბოლშევიკებს ესმით, თუ რამდენად დიდი და პასუხსაგებია მესამე ხუთწლედის ამოცანები. ბოლშევიკური პარტიის ამოცანიმაში მდგომარეობს, რომ მესამე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების გზით კიდევ უფრო მეტად განამტკიცოს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, განამტკიცოს სსრ კავშირის თავდაცვა, აამაღლოს პარტიისა და საბჭოთა ხალხის სიფხიზლე. ჩვენ აღსავსენი ვართ გადაწყვეტილებით და იმის რწმენით, რომ მესაზე ხუთწლედის ეს გრანდიოზული ამოცანები საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ - სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო **სტალინ,** შესრულებული იქნება.

შეიარაღებული მარქსიზმ - ლენინიზმის მძლავრი იდეური იარაღით, ძლიერი თავისი რიგების ერთიანობით, გამოწრთობილი მტრებთან ბრძოლაში, გამოცდილებით ბრძნული და უშიშარი ბრძოლაში, დიადი პარტია ბოლშევიკებისა თავის ყრილობაზე მიდის ისე განმტკიცებული, ერთიანი, მონოლიტური, მჭიდროდ დარაზმული ბოლშევიკური პარტიის ლენინურ - სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგი **სტალინის** გარშემო, როგორც არასოდეს.

მოსკოვის ბოლშევიკური ორგანიზაცია სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ,** რომ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ბოლშევიკები იყვნენ, არიან და იქნებიან ჩვენი პარტიის ლენინურ - სტალინური ცენტრალური კომიტეტის ერთგული და უაღრესად მტკიცე ბურჯი.

განუხრელად შეავსრულებთ რა თქვენს მითითებებს, ჩვენ მტკიცედ დავეუფლებით რევოლუციურ თეორიას, შეუპოვრად ავამაღლებთ და გავამახვილებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, გავანადგურებთ და ამოვძირკავთ საბჭოთა ხალხის ყველა მტერს და დაუცხრომლად, ჩვენი ძალების დაუზოგავად, ვიმუშავებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს ბრძოლებში ნაცადსა და გამოწრთობილს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმის მსოფლიო არმიის დიდ ბელადს ჩვენს მასწავლებელსა და მეგობარს ამხანაგ სტალინს!

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობამ დაამთავრა მუშაობა

1939 წლის 2 მარტის დილის სხდომის დღიური

ყრილობის 2 მარტის დილის სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუციები ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენების გამო—საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ამხანაგ კ. შეროზიას მოხსენების გამო—საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგ ვ. მოლოტოვისა და ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ს. იშხანოვის საინფორმაციო ცნობა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

აღფრთოვანებული ოვაციით, მგზნებარე მისასალმებელი შეძახილებით, დაუსრულებელი ტაშით შეხვდნენ დელეგატები ცნობას იმის შესახებ, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის პირველ დელეგატად ერთხმად არჩეულია მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. მთელს დარბაზში გაისმის შეძახილები:

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას! „ურა!“, „ვაშა!“. ოვაციები კვლავდაკვლავ მეორდება აპალი სიძლიერით.

დიდი სიხარულით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე მდგომნი მიესალმენ ყრილობის დელეგატები ცნობას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დელეგატად დიდი სტალინის ერთგული მოწაფის—ამხანაგ ლ. პ. ბერიას არჩევის შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულია 39 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 12-სათათბირო ხმით.

ყრილობის დღის წესრიგი ამოიწურა. თავმჯდომარე ამხანაგი კ. ჩარკვიანი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობას დახურულად აცხადებს.

საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის გარშემო საქართველოს ბოლშევიკების ურყევი დარაზმულობის გამომხატველი ერთსულოვნებით დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს“.

ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის, განსაკუთრებით მესელეობისა და მეცხოველეობის დარგში გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოებულია ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის 303 მოწინავე მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 25 კაცი. მათ შორის: ნადეჟდა გრიგოლის-ასული **გრეკოვა**— ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანი. კუზმა ვენედიქტეს-ძე **კისელიოვი** — ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, პეტრე ალექსის-ძე **კოლცოვი** — ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ვიქტორ პავლეს-ძე **კორზუნი** — კიროვის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ვოსხოდის“ მეცხვარეობის ფერმის გამგე, ნიკიფორე იაკობის-ძე **ნატალევიჩი** — ბელორუსიის სსრ უმაღრესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, იონა იონას-ძე **პეტროვი** — კოპილსკის რაიონის რაიმიწგანის უფროსი აგრონომი, პანტელეიმონ კონდრატის-ძე **პონომარენკო** — ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, თედორე თომას-ძე **ტრუშკევიჩი** — კოლმეურნეობა „კრასნი ოგოროდნიკის“ თავმჯდომარე და სხვები.

„შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია 47 კაცი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 61 კაცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 76 კაცი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოებულია 94 კაცი.

კოლაჩული ღამის დასასრული რუდოლფის კუნძულზე

რუდოლფის კუნძული, 1 მარტი (საკდესის სპეციკორ. რადიო). გუშინ 11 საათზე მოსკოვის დროით დუკის კონცხზე პირველად გამოჩნდა მზის სხივები. 150 დღე-ღამეზე მეტია, რაც აქ მზე არ გამოჩენილა. უდიდესი ინტერესით და დაუფარავი სიხარულით უცქერდნენ კუნძულის მცხოვრებნი ჰორიზონტზე სწრაფად მსრბოლ მზეს. გეგონებოდათ მიწამ დააჩქარა თავისი ბრუნვაო.

დღემ კუნძულზე იმატა.

ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობა

კამათი ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენების გამო

27 თებერვლის დღის სხდომა

ამხ. ვ. ბაქრაძის სიტყვა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის თავმჯდომარე

თავისი სიტყვის დასაწყისში ამხანაგი ბაქრაძე ჩერდება სტალინურ ხუთწლედთა შედეგებზე, რომელთა განმავლობაში საბჭოთა ხალხმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით მიაღწია სოციალიზმის გადამწყვეტ გამარჯვებებს სსრ კავშირში.

პირველი ხუთწლედის შედეგად დამთავრდა სსრ კავშირში სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება.

მეორე ხუთწლედის შედეგად საბოლოოდ ლიკვიდირებული არიან ყველა ექსპლოატატორული კლასები, სავსებით მოსპობილია ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობდნენ ადამიანის ექსპლოატაციას ადამიანის მიერ და საზოგადოების გაყოფას ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად. დამთავრებულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბოლოოდ განმტკიცდა სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა — სოციალისტური სახელმწიფო საკუთრება და კოლმეურნეობა. ჩვენს ქვეყანაში, მეორე ხუთწლიანი გეგმის გამარჯვებათა შედეგად ძირითადად განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი.

მიღწეულია საბჭოთა ხალხის უმაღლესი პოლიტიკური და მორალური ერთიანობა **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის დროშის ქვეშ.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებებს ჩვენ მივაღწიეთ ულმობელ ბრძოლაში ყველა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, გავანადგურეთ რა ფაშიზმისა და უცხოეთის კაპიტალისტროცკისტ - ბუხარინელ და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტ აგენტთა ძირითადი ბუდეები.

მესამე ხუთწლედში ქვეყანა შევიდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენჭება კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის საქმეს.

მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ძირითადი ეკონომიური ამოცანა — ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს ამოცანა უახლოეს პერიოდში უნდა გადაიჭრას.

საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწია საბჭოთა საქართველომ. მეორე ხუთწლედის გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკაში ვადამდე შესრულდა. დაბანდებებმა საქართველოს სახალხო მეურნეობაში მეორე ხუთწლედის წლებში 2.241 მილიონი მანეთი შეადგინა. მრეწველობის საერთო პროდუქციამ რესპუბლიკაში 1937 წელს, არასამრეწველო სახკომატების საწარმოებთან ერთად, ერთ მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია მეორე ხუთწლედის წლებში.

მეორე ხუთწლედის წლებში საქართველო გადაიქცა მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკად, რომელშიაც სამრეწველო პროდუქციის ხვედრითმა წონამ სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში ჯერ კიდევ 1937 წელს 75,2 პროცენტი შეადგინა.

1938 წელს—მესამე ხუთწლედის პირველ წელს — სახალხო მეურნეობის ყველა ძირითადი გეგმები საქართველოს სს რესპუბლიკაში შესრულებულია გადაჭარბებით.

სოციალიზმის ყველა გამარჯვებებს საქართველოს მშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირისა, უნდა უმადლოდნენ უწინარეს ყოვლისა ჩვენს მამას, მასწავლებელს, პარტიისა და ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს. (ხანგრძლივი ტაში).**

შემდეგ ამხანაგი ბაქრაძე ჩერდება მესამე ხუთწლიანი გეგმის დანახსგებზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში.

მესამე ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს ოთხი საარეწველო სახალხო კომისარიატის—საქართველოს კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის, Ძსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის, ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატისა და სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის საერთო პროდუქციის ზრდას 76,1 პროცენტით. შესაძლებელი იქნება ამ ციფრის გადიდება, ვინაიდან ადგილობრივი მრეწველობის ხაზით ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მივაღწიოთ საერთო პროდუქციის გაცილებით უფრო მეტ ზრდას. 1942 წლისათვის წარმოების საერთო პროდუქცია ამ სამრეწველო სახალხო კომისარიატებში გაიზრდება 650 მილიონ მანეთამდე ნაცვლად 1937 წლის 369 მილიონისა.

მესამე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოებში 34,7 პროცენტით, Ძსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოებში—23,1 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოებში — 43,4 პროცენტით და ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოებში — 42 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის დარგში მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, როგორც საბჭოთა კავშირის ძირითადი ბაზისა სუბტროპიკული კულტურების დარგში. ჩაის პლანტაციების ფართობი 1937 წლის 41.700 ჰექტარიდან იზრდება 55 ათას ჰექტარამდე. შესაბამისად — ციტრუსების ფართობი 5.700 ჰექტარიდან 25.100 ჰექტარამდე, ვენახებისა — 43 ათასი ჰექტარიდან 68 ათას ჰექტარამდე და სხვ. ამავე დროს მარცვლეული კულტურების ფართობი მცირდება 775.400 ჰექტარიდან 724.600 ჰექტარამდე, რაც აიხსნება იმის აუცილებლობით, რომ იმ ფართობის ერთი ნაწილი, რომელიც წინათ მარცვლეული კულტურებისათვის იყო გამოყენებული, დაკავებულ იქნას ძვირფასი სუბტროპიკული კულტურებით.

მნიშვნელოვნად იზრდება კარტოფილის ნათესების ფართობი (21 ათასი ჰექტარიდან 35 ათას ჰექტარამდე).

მესამე ხუთწლედის წლებში სწარმოებს საქართველოში მეცხოველეობის შემდგომი ზრდა და განმტკიცება: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა დიდდება 38,3 პროცენტით, თხისა და ცხვრისა—29 პროცენტით, ღორისა—27 პროცენტით, ცხენისა—33 პროცენტით.

55,3 პროცენტით იზრდება მესამე ხუთწლედის წლებში საქონელბრუნვა, აძასთან გათვალისწინებულია სოფლად ვაჭრობის უფრო ფართოდ გაშლა.

ახასიათებს რა კაპიტალდაბანდებათა წარმართვას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში მესამე ხუთწლედის წლებში, ამხანაგი ბაქრაძე აღნიშნავს:

— კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხიდან—231,5 მილიონი მანეთიდან — ჩაის მეურნეობაზე მოდის 160 მილიონი. ძირითადად ეს დანახარჯები ხმარდება ჩაის ფაბრიკების სიმძლავრის გადიდებას და საბინაო მშენებლობას.

60 მილიონი მანეთიდან, რაც მსუბუქ მრეწველობაში იქნება დაბანდებული, მეტი წილი ხმარდება ჭუთაისის აბრეშუმის კომბინატის მშენებლობის დამთავრებას და თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის რეკონსტრუქციას. მესამე ხუთწლედში ეს ფაბრიკა უნდა გადავიდეს მეტიზებული ცხვრის წმინდა მატყლის გადამუშავებაზე.

მნიშვნელოვანი თანხები იქნება დაბანდებული საქართველოს სატყეო კულტურების განვითარებაზე.

ადგილობრივი მრეწველობის ხაზით კაპიტალურ დაბანდებათა 67 მილიონი მანეთიდან მეტი წილი წარიმართება ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გაფართოებაზე და ადგილობრივი სამშენებლო მასალების, უმთავრესად აგურისა და კრამიტის წარმოების გაფართოებაზე.

მესამე ხუთწლედის წლებში თბილისში უნდა აშენდეს ავტოსაამქროო ქარხანა, საავტომობილო შინების დამამზადებელი ქარხანა, აგრეთვე რეტგენის აპარატურის დამამზადებელი ქარხანა, გორში აშენდება რადიოქარხანა. მთავრდება თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის, შამპანური ღვინოების კომბინატის მშენებლობა, ამოქმედდება ჩაის 25 ახალი ფაბრიკა.

ყველაზე ვიწრო ადგილს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში წარმოადგენს ენერგეტიკა. საქართველოს უმდიდრესი ენერგეტიკული რესურსების არასრულად გამოყენებამ შეჰქმნა შეუფარდებლობა ელექტროენერგიის მოთხოვნილებასა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ მესამე ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს სოხუმის 19.200 კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის, ნრამჰესის — 90 ათასი კილოვატის სიმძლავრის და სხვა სადგურების დამთავრებას, ელექტროენერგიის დეფიციტი მაინც მნიშვნელოვან ციფრს შეადგენს. საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება ელექტროენერგიის ნაკლებობას შეხვდება. აი რატომ არის, რომ ელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითად საკითხს წარმოადგენს.

იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ელექტროენერგიაზე, აუცილებლად საჭიროა მესამე ხუთწლედში განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი: დამთავრდეს ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მისი ამუშავებით 1942 წელს, დამთავრდეს სოხუმის ელექტროსადგური 1941 წლისათვის და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეორე აგრეგატი მისი ამუშავებით 1942 წელს. აუცილებლად საჭიროა აშენდეს თბილისადგური ტყიბულში, ჰიდროელექტროსადგური მახარაძის რაიონში და განხორციელდეს დიმის ელექტროსადგურის მშენებლობა მისი ამუშავებით 1942 წელს.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ კმარა. მე დროულად და აუცილებლად მიმაჩნია დაისვას საკითხი ნამახვანის მსხვილი—250 ათასი კილოვატის სიმძლავრის — ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელების შესახებ. ამასთან ერთად კვლავაც უნდა გაიშალოს წვრილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა; თხუთმეტამდე ასეთი სადგური უკვე შექმნილია მეორე ხუთწლედის წლებში და მომსახურებას უწევს ჩვენი სოფლის მეურნეობის საჭიროებებს.

რკინიგზის ტრანსპორტის დარგში, გარდა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის დამთავრებისა, რაც უკვე შეტანილია მესამე ხუთწლედის გეგმაში, ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით შეტანილ იქნა გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობა; შეტანილია აგრეთვე ტყიბულის რკინიგზის შტოს რეკონსტრუქცია და ჭიათურის შტოს გადაკეთება ფართო ლიანდაგზე.

გეოლოგიურ - საძიებელ სამუშაოთა დარგში მესამე ხუთწლედში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ტყვიისა და თუთიის ახალ საბადოებში სამუშაოთა ორგანიზაციას. საჭიროა დაჩქარდეს ისეთი მადნეული წიაღისეულის დამუშავება, როგორიცაა ვოლფრამი და სხვ.

ქალაქ მახარაძის ახლოს გამოვლენებულია ასკანიტი — განსაკუთრებული თიხა, რომელიც საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის. საჭიროა მესაზე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ასკანიტის საშუშაოთა მოწყობა და ქალაქ მახარაძეში სათანადო ქარხნის აგება.

ლაპარაკობს რა მრეწველობის ცალკეულ დარგებზე, ამხ. ბაქრაძე მიუთითებს იმის საჭიროებაზე, რომ აშენდეს ცემენტის ქარხანა დასავლეთ საქართველოში, რეკონსტრუირებულ იქნას ქარხანა „ცენტროლიტი“, აშენდეს კერამიკული მილების დამამზადებელი ქარხანა, აგრეთვე თერმოსაიზოლაციო აგურის ქარხანა.

შემდეგ ამხანაგი ბაქრაძე ჩერდება კოლხიდის ამოშრობის პრობლემაზე.

ამხანაგ **სტალინის** მითითებების შესაბამისად, მუშაობა კოლხიდის დაბლობის ამოშრობისათვის უმთავრესად სწარმოებს პირველი რიგის მასივებზე ქალაქ ფოთის გარშემო. კოლხიდის ამოშრობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს ამხ. ლ. პ. ბერია.

მესამე ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს კოლხიდაში პირველი რიგის ამოშრობითი სამუშაოების დამთავრებას — 44.500 ჰექტარი სასარგებლო ფართობის მიღებით — და კოლხიდაში კიდევ 5 ათასი გლეხური მეურნეობის დასახლებას. უკვე ამოშრობილი მიწები გამოყენებული იქნება ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად (10 ათას ჰექტარამდე) და დაახლოვებით 18 ათასი ჰექტარი დანარჩენი სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად.

მესამე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოებს, კერძოდ საქართველოს ჩაის რაიონებში.

აღნიშნა, რა, რომ მესაზე ხუთწლიანი გეგმის დანასახების მიხედვით სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური მშენებლობის საკითხებს უკვე შეეხნენ თავის სიტყვებში ყრილობის ცალკეული დელეგატები, ამხანაგი ბაქრაძე მიაქცევს ყრილობის ყურადღებას საბინაო მშენებლობაზე.

— მესამე ხუთწლედის გეგმაში საბინაო მშენებლობისათვის გადადებულია 60 მილიონი მანეთი. თითქმის ყოველ რაიონში გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დიდი დაბანდებებია გათვალისწინებული თბილისის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის, სოციალისტური საქართველოს დედაქალაქში ამხ. ბერიას ინიციატივით და მისი ხელმძღვანელობით მეორე ხუთწლედის წლებში ძირითადი რეკონსტრუქცია განხორციელდა. საბჭოთა კავშირის მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს თბილისის მშენებლობას, კერძოდ 1939 წლის მიუჯეტში შეტანილია დიდი ასიგნებანი თბილისის საქალაქო მშენებლობისათვის.

მესამე ხუთწლედში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საქართველოში ნავთის მოპოვების სამუშაოთა გაშლას. ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა დიდი მასშტაბით გავშალოთ მესამე ხუთწლედში ნავთის სამრეწველო მოპოვება.

ამხანაგ ლ. ბერიას მიერ საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე მოცემული მითითება—იმგვარად გავშალოთ ნავთის ამოღება, რომ წელიწადში ვიღებდეთ არა 12 ათას ტონას, არამედ ასეულ ათასობით ტონას, ავალებს საქართველოს ბოლშევიკებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საქნავთს. ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანების თანახმად 1939 წლის 1 იანვრამდე გაბურღვილ უნდა იქნას ოთხი ჭაბურღილი ნორიოს რაიონში და ექვსი ჭაბურღილი სუფსის რაიონში. სტალინური სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანება ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შესრულებული. საჭიროა სწრაფად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და ისე მოვაგვაროთ მუშაობა, რომ არა უგვიანეს მიმდინარე წლის მესამე კვარტალისა შევუდგეთ ნავთის მასობრივ ექსპლოატაციას. ამასთან ერთად ფართოდ უნდა გაიშალოს გეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოები ნავთის დარგში.

საქართველოს ბოლშევიკების მიერ მეორე ხუთწლედის გეგმის შესრულებაში მოპოვებულმა წარმატებებმა ოდნავაც არ უნდა გამოიწვიოს თავბრუდახვევა, არ უნდა გამოიწვიოს ჩვენში თვითდამშვიდების განწყობილებანი. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს მუშაობაში. კაპიტალური მშენებლობის გეგმა 1938 წელს მხოლოდ 80 პროცენტით შესრულდეთ. მთლიანად არ არის შესრულებული გეგმა მრეწველობისა და კაპიტალური მშენებლობის ხაზით 1939 წლის იანვარში. ჩვენში ბევრ უთავბოლობას აქვს ადგილი მშენებლობის დარგში. ცალკეული ჩვენი მშენებლობანი თვეობით, ხოლო ზოგჯერ წლობითაც ჭიანურდება, რაც იწვევს მშენებლობის გაძვირებას და სახელმწიფო სახსრების გაყინვას.

განვიხილავთ რა ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებას, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სამშენებლო საქმის შოწესრიგებას. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები პირადად მოჰკიდებენ ხელს მშენებლობის საკითხებს.

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელიც აღზრდილია ამხანაგ ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით სტალინური პრინციპულობის, საქმიანობის სულისკვეთებით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, — მონოლიტური შემჭიდროებული რიგებით წარსდგა თავის XII ყრილობაზე და ხვდება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას.

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა **სტალინმა (ტაში)** და რომელიც ბოლშევიკური სულისკვეთებით აღზარდა ამხანაგმა ბერიამ, მომავალშიაც მოწინავე რიგებში იქნება მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანების — უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ამოცანების **შესრულების საქმეში. (ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ამხანაგებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიან გეგმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისთვისაც.

ჩვენ მოვისმინეთ ამხ. ჩარკვიანის შინაარსიანი მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე, რომელსაც საფუძვლად დადებული აქვს უდიდესი გამოცდილება, რაც ჩვენ ორი წარსული სტალინური ხუთწლედის მანძილზე მივიღეთ. თეზისები გამსჭვალულია ნამდვილი სტალინური სიბრძნითა და გენიალობით.

კამათში გამოსულებმა წამოაყენეს მრავალი ამოცანა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ექნებათ და რომელთა უმრავლესობა, ჩემი აზრით, მოწონებულ უნდა იქნას.

ჩემის მხრივ მინდა ყრილობის ყურადღება შევაჩერო პრაქტიკული ხასიათის ზოგიერთ საკითხზე.

პირველ რიგში მე შევეხები ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციას.

ამხანაგ მოლოტოვის თეზისებში დაყენებულია ამოცანა სიმძლავრეთა მატებისა ახალი პატარა და საშუალო ელექტროსადგურების მშენებლობის, პატარა ადგილობრივი ჰიდროსადგურების ფართო მშენებლობის ხარჯზე.

ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. თეზისების მეორე ადგილას ნათქვამია, რომ მშენებლობის ვადების დაჩქარებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ძირითად ეკონომიურ რაიონებში ახალ საწარმოთა განლაგების მიზნით საჭიროა გაიშალოს გადამწყვეტი ბრძოლა გიგანტომანიასთან მშენებლობაში.

რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ არა გვჭირდება დიდი ჰიდროსადგურები, ისინი საჭირო, მაგრამ იმავე დროს დავიწყებული არ უნდა იქნას ადგილობრივი მნიშვნელობის პატარა ჰიდროსადგურები.

ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო პირობებია პატარა ჰიდროსადგურების მშენებლობისათვის, ჩვენ გვაქვს წყლის ენერგიის დიდი მუქთი ძალა.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობას და საბინაო მშენებლობას ქალაქებში და მუშათა დაბებში. ამაზე ცოტა ილაპარაკეს აქ გამოსულმა ამხანაგებმა. ამ დარგში ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. აუცილებელია ჩვენი სოფლებისა და ქალაქების კეთილმოწყობა. ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ ამ მიმართულებით, მაგრამ მდგომარეობა მაინც კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

თბილისის კეთილმოწყობაში ამხ. ლ. ბერიას ინიციატივითა და მონაწილეობით შესრულებულია უდიდესი მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, კერძოდ ქუჩების კეთილმოწყობის საკითხში.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო საბინაო მშენებლობასაც. სამწუხაროდ, ამაზე ძალიან ცოტა ილაპარაკეს. და იმ ამხანაგებმა, რომლებსაც ამაზე უნდა ელაპარაკათ, არაფერი არა თქვეს.

ამხანაგებო! მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა დავსახოთ, თუ ახალი საბინაო ფართობის რა რაოდენობა უნდა ავაშენოთ მესამე ხუთწლედში. ეს პირველ რიგში შეეხება ქალაქის კომუნალურ მეურნეობას და საერთოდ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს.

რა რაოდენობით გვესაჭიროება ჩვენ ახალი საბინაო ფართობის მშენებლობა თბილისში? მე წინადადება შემომაქვს, რომ სათანადო ორგანოებმა გაითვალისწინონ და დაამუშაონ ეს საკითხი.

მეორე საკითხი, რომელსაც მე მინდა შევეხო—ეს არის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც უნდა ტარდებოდეს ახალ საწარმოთა მშენებლობასთან ერთად.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო წვრილ სამელიორაციო სამუშაოებს, ესე იგი პატარა ფართობების ამოშრობას და წვრილი არხების გაყვანას. არის პატარა დაჭაობებული ფართობები, — საჭიროა პატარა არხების გაყვანა. ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე საჭიროა სათანადო მითითებანი მიეცეს მიწსახკომს.

აქ გამოსულმა ზოგიერთმა ამხანაგმა დააყენა საკითხი ბორჯომ-ახალციხის რკინიგზის მშენებლობის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ბორჯომ-ახალციხის გზის მშენებლობა უთუოდ სერიოზული საქმეა. ამაში დაინტერესებულია არა მარტო ახალციხის რაიონი, არამედ მთელი რიგი სხვა რაიონებიც. ამ გზას შეიძლება ჰქონდეს რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობა. ჩვენ ვერ გავითვალისწინებთ ამ გზის მშენებლობის დამთავრებას მესამე ხუთწლედში, მაგრამ, ვფიქრობ, შეიძლება ჩავატაროთ საძიებელი სამუშაოები მშენებლობის დასაწყებად.

მე მთლიანად ვუჭერ მხარს ამხ. ბექვაიას წინადადებას შავიზღვის რკინიგზის მშენებლობის დამთავრების შესახებ. ეს მშენებლობა მეტისმეტად გაჭიანურდა და დროა, ამხანაგებო, დავასრულოთ იგი მესამე ხუთწლედში.

სატყეო მეურნეობის შესახებ. მე დაწვრილებით არ ვილაპარაკებ ამაზე, მხოლოდ ვიტყვი, რომ ჩვენ შევწყვიტეთ ტყეების ძარცვა ელექტროენერგიის ეკონომიურ ექსპლოატაცია, რომელიც ჩვენს საკურორტო მნიშვნელობის ტყეებს უდიდეს ზიანს აყენებდა.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ასეთი ექსპლოატაციის ფაქტები, და სატყეო მეურნეობის საბალხო კომისარიატმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამას და შემოიღოს ტყეების ნამდვილად რაციონალური ექსპლოატაცია. ამავე დროს საჭიროა შევუდგეთ ახალი ტყეების გაშენებას.

რას მოითხოვს ჩვენგან მესამე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმე? იგი მოითხოვს უდიდეს ერთსულოვნებას, მთელი ჩვენი შემოქმედებითი ძალების უდიდეს დაძაბვას, უფრო მეტად შემჭიდროებას **ლენინ-სტალინის** ჩვენი სახელოვანი პარტიის გარშემო, მოითხოვს, რათა კიდევ უფრო მეტად გავამახვილოთ ჩვენი ბოლშევიკური სიფხიზლე.

ამხანაგებო! ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ მტრებით, რომლებიც ცდილობენ თავს დაესხან სსრ კავშირს. ჩვენი მოვალეობაა კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ ზრუნვა წითელ არმიაზე.

ეს ყველამ კარგად ვიცით, რა არის ამისთვის საჭირო? პირველ რიგში ჩვენი პარტიის რიგების მონოლიტობა, კიდევ უფრო მეტად შემჭიდროვება ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინის** გარშემო. **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** უძლეველი ინტერნაციონალური დროშით წინ ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ! **(ტაში).**

კამათი ამხ. კ. შეროზიას მოხსენების გამო

27 თებერვლის საღამოს სხდომა

ამხ. გ. პოპაიას სიტყვა

საქ. Კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობის შემდეგ განვლილი ხუთწლედი აღინიშნა ჩვენი სამშობლოს მშრომელთა გმირული ბრძოლით სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისათვის. მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის — ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა უდიდეს ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწიეს.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენების თეზისები—საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ — პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა უდიდეს ყურადღებას იპყრობენ. ეს თეზისები გამოხატავენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ორგანიზაციულ სიმტკიცესა და ძლიერებას, პარტიისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი გამარჯვებებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს.

ჩვენი პარტია, განამტკიცებდა რა ბოლშევიზმის ორგანიზაციულ პრინციპებს, ყოველთვის მიისწრაფოდა იქითკენ, რომ პარტიული ორგანიზაციის ფორმები და მუშაობის მეთოდები მთლიანად და სავსებით შეესაბამებოდეს მოცემული კონკრეტული ისტორიული ვითარების თავისებურებას და იმ პოლიტიკურ ამოცანებს, რომლებსაც ეს ვითარება გვიკარნახებს.

გამოდიოდა რა კონკრეტული თავისებურებებიდან, საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობამ პარტიის წესდებაში შეიტანა პუნქტი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნის შესახებ.

უდავო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ თანამგრძნობთა ჯგუფების მოწყობამ უაღრესად დიდი როლი ითამაშა საკ. კ. პ. (ბ)-სთან ყველაზე ახლო მდგომ უპარტიო აქტივისტთა ბოლშევიკურად აღზრდის საქმეში. ამან თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი ლენინ-სტალინის პარტიის რიგების ზრდას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი მთლიანად და სავსებით ერთგულ ადამიანთა ხარჯზე.

პარტიის XVII ყრილობის შემდეგ, ხუთი წლის მანძილზე, საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში დიდი ცვლილებები მოხდა. რადიკალური ცვლილებები მოხდა აგრეთვე საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში. ლიკვიდირებული არიან ექსპლოატატორული კლასები და სავსებით მოსპობილია ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობდნენ ადამიანის ექსპლოატაციას ადამიანის მიერ.

იშლება კლასობრივი განსხვავებანი საბჭოთა კავშირის მშრომელებს შორის, ირღვევა და ჰქრება ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი მუშებსა, გლეხებსა და იხტელიგენციას შორის.

შექმნილია ურღვევი საძირკველი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისათვის, რამაც ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს.

სწორედ ამ ახალ ვითარებაში მომწიფდა პარტიაში მიღების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

„უკვე აღარ არის საჭირო პარტიაში მიღების დროს სხვადასხვა კატეგორიებისა და სხვადასხვა საკანდიდატო სტაჟის დაწესება“,— ნათქვამია ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში.

პარტიაში მიღების ახალი პირობები ძლიერ უწყობენ ხელს იმას, რომ ჩვენი პარტიის რიგები გაიზარდოს თავდადებულ და ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულ ადამიანთა ხარჯზე.

ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყანა განვითარების ახალ პერიოდში შევიდა, მე ვუერთდები იმ ამხანაგების აზრს, რომლებიც სთვლიან, რომ თანამგრძნობთა ჯგუფები ახალ პირობებში საჭირო არ არის. მაგრამ ეს გვავალებს გავაძლიეროთ მუშაობა უპარტიო აქტივში, გავაძლიეროთ პროფკავშირების მუშაობა.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების გამოქვეყნებამ გამოიწვია საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მილიონიანი მასების უდიდესი შრომითი აღმავლობა, საწარმოო ინიციატივისა და აქტივობის ახალი აღმავლობა. თვითეული მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი ცხადად ხედავს მოპოვებულ გამარჯვებათა შედეგებს და კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა გზას.

სამტრედიის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, მუშები, გლეხები და მშრომელი იხტელიგენცია ხალხმრავალ მიტინგებსა და კრებებზე, უდიდესი ინტერესით იხილავდნენ წინასაყრილობო დოკუმენტებს — ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს და ღებულობდნენ კონკრეტულ ვალდებულებებს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის პატივსაცემად.

წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საფუძველზე ჩვენ, პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, ვანხორციელებდით რა იმ მითითებებს, რომლებსაც გვაძლევდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, შევძელით 25 თებერვლისათვის შეგვესრულებინა ხორცისა და ყველის ჩაბარების გეგმა, ხოლო თესვის გეგმა 75 პროცენტით შევასრულეთ.

საქართველოს ბოლშევიკები, მეზღერდა დარაზმულნი საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო, ამხ. ლ. ბერიას მიერ აღზრდილნი ლენინურ - სტალინური ტრადიციების სულისკ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) XII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Კ. ᲨᲔᲠᲝᲖᲘᲐᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

1 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲐᲛᲮ. Ს. ᲘᲛᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

თბილისის—ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ბოლშევიკები და ყველა მშრომელნი უდიდესი აღფრთოვანებითა. და აღტყინებით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებას **ლენინ-სტალინის** პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვა დახურულ პარტიულ კრებებზე, ხოლო შემდეგ თბილისის პარტიული ორგანიზაციის რაიონულ კონფერენციებზე ჩატარდა ორგანიზებულად, საქმიანად და მაღალ პოლიტიკურ დონეზე. აღრიცხვაზე მყოფ ყველა კომუნისტთა 87 პროცენტი ესწრებოდა პარტიულ კრებებს. პარტკრებებზე ყველა დამსწრეთა მესამედმა მოხაწილეობა მიიღო ჯამათში, ხოლო საშუალო და წვრილ პარტორგანიზაციებში თითქმის ყველა კომუნისტები გამოდიოდნენ მოხსენებების გარშემო. თბილისის ბოლშევიკებმა შემოიტანეს 2.500-ზე მეტი წინადადება და დამატება ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებისათვის. უდიდესი სიყვარულით, უსაზღვრო ერთგულებით საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინისადმი** გამსჭვალული იყო კრებებზე და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე გამოსული ამხანაგების სიტყვები, ამხანაგებისა, რომელნიც ერთსულოვნად იწონებდნენ ისტორიულ წინასაყრილობო დოკუმენტებს.

დაახლოვებით 1.500 კომუნისტი პირველად წელს მონაწილეობდა არჩევნებში, რაიონული პარტიული კონფერენციების დელეგატთა 40 პროცენტი პირველად იყო არჩეული. საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობაზე თბილისის პარტიული ორგანიზაციის დელეგატია მესამედი და აგრეთვე პირველად იქნა არჩეული.

ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებში მთელი სიცხადით არის ნაჩვენები, თუ როგორ მიაღწია **ლენინ-სტალინის** პარტიამ სოციალიზმის გადამწყვეტ ისტორიულ გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში — გააფთრებული ბრძოლით ხალხის მტრების წინააღმდეგ, ფაშისტურ დაზვერვათა აგენტურის —ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი ჯაშუშებისა და მათი ნაბოლარების წინააღმდეგ.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენების თეზისებს შეაქვს მთელი რიგი ცვლილებანი პარტიის წესდებაში იმ ახალ ვითარებასთან შეფარდებით, რომელიც გამოწვეულია სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებით და ამ საფუძველზე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კლასობრივ შემადგენლობაში მომხდარი რადიკალური ცვლილებებით.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბოლშევიზმის პროპაგანდის, მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორიით თვითეული ბოლშევიკის შეიარაღების საკითხებს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტიაში პროპაგანდის განყოფილების რეორგანიზაციას პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოდ.

პარტიული კადრების თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საქმეში კოლოსალურ როლს თამაშობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლა, რომელშიაც მაღალ თეორიულ დონეზე განზოგადებულია ბოლშევიკური პარტიის გიგანტური ისტორიული გამოცდილება, მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების მეცნიერული დალაგება, ნაჩვენებია მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში.

პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ განვლილ პერიოდში თბილისის პარტორგანიზაციაში მოეწყო 32 პოლიტწრე. იმ ამხანაგებისათვის, რომლებმაც წრეებში მეცადინეობის სურვილი განაცხადეს. მაგრამ ჩვენი რაიონული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელნი არ ჩქარობენ პოლიტწრეების მოწყობას იმათთვის, ვინც განაცხადა ამ წრეებში მეცადინეობის სურვილი, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

პარტორგანიზაციებმა ბოლშევიკურად ბოლომდე უნდა უზრუნველჰყონ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ისტორიული დადგენილების რეალიზაცია.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში ლაპარაკია პარტიაში მიღების პირობების შეცვლის საჭიროების შესახებ. ამასთან დაკავშირებით უეჭველად გაძლიერდება პარტიაში მოწონავე ადამიანების მიღება არაპარტიული ბოლშევიკების რიცხვიდან. პარტორგანიზაციების ამოცანაა—პარტიის წესდებასთან ზუსტად შეფარდებით უზრუნველჰყონ თავის დროზე განხილვა განცხადებებისა საკ. კ. პ. (ბ)-ში შესვლის შესახებ. მაგრამ თბილისის მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიაში მიღების გაფორმების არსებული წესის დროს, პარტიაში მიღების შესახებ განცხადებათა განხილვა პირველად პარტორგანიზაციებში რამდენიმე თვეობით ჭიანურდება. ეს საკითხი ისმებოდა ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისების განხილვისას თბილისის თითქმის ყველა პარტკონფერენციაზე. მე ვფიქრობ, რომ უნდა მიენიჭოს საკ. კ. პ. (ბ)-ში მიღების უფლება საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებს—პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროზე შემდგომი დამტკიცებით.

თბილისის პარტორგანიზაციაში არის პარტიის ათასზე მეტი კანდიდატი ვადაგადაცილებული სტაჟით. ასეთი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში **არ** არის საკმაო ზრუნვა და ყურადღება კანდიდატები პარტიულ ორგანიზაციებში. პარტიული ორგანიზაციები უნვშად არღვევენ საკ. კ. პ. (ბ) წესდებას, ითმენენ იმ გარემოებას, რომ მათს რიგებში იმყოფებიან დიდი ხნის ვადაგადაცილებული სტაჟის მქონე კანდიდატები, მეფიქრობ, რომ შემდეგში ამა თუ იმ ამხანაგის პარტიის კანდიდატად ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ თვით პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა წამოაყენოს საკითხი — შესაძლებელია თუ არა ამ ამხანაგის მიღება პარტიის წევრად.

რამდენიმე სიტყვა თანამგრძნობთა ჯგუფებზე. თბილისის პარტორგანიზაციების ნახევარზე მეტ ნაწილში ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისების განხილვის დროს შემოტანილ იქნა წინადადებები თანამგრძნობთა ჯგუფების ლიკვიდაციის შესახებ. ლენინის რაიონის პარტკონფერენციამ თავის დადგენილებაში შეიტანა წინადადება თანამგრძნობთა ჯგუფების ლიკვიდაციის შესახებ, როგორც ზედმეტი რგოლისა, რომელმაც უკვე ითამაშა თავისი დადებითი როლი. მე მხარს ვუჭერ ამ წინადადებას, თანამგრძნობთა ჯგუფების ლიკვიდაციას. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მთელ რიგ პარტორგანიზაციებში ხელოვნურად ფერხდებოდა ერთგული და შემოწმებული უპარტიო აქტივისტების მიღება პარტიაში მხოლოდ იმ მოტივებით, რომ უმჯობესია ისინი ჯერ თანამგრძნობთა ჯგუფში შევიდნენო.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში ლაპარაკია იმაზე, რომ შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის საფუძველი, რომ პარტიის გარშემო გაიზარდნენ არაპარტიულ ბოლშევიკთა — მოწინავე მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის, პარტიის საქმისათვის აქტიური და შეგნებულ მებრძოლთა, მასებში მისი ხაზის გამტარებელთა მრავალრიცხოვანი კადრები. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე თანამგრძნობთა ჯგუფების არსებობა მე მიმაჩნია ზედმეტ შუაკედლად პარტიასა და უპარტიო ბოლშევიკებს შორის.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისების პირველ კარში ლაპარაკია იმაზე, რომ პარტიაში ყველა შემსვლელნი მოვალენი არიან წარადგინონ რეკომენდაციები პარტიის სამი წევრისა, რომელთაც სამწლიანი პარტიული სტაჟი აქვთ და რომლებიც ერთი წლის ერთად მუშაობით მაინც იცნობენ მათ. თბილისის ორჯონიკიძისა და კიროვის რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე მთელ რიგ დელეგატებს შემოჰქონდათ წინადადება ამოღებულ იქნას სტატეგი „ერთად მუშაობით“. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება სწორია, იგი ხელს შეუწყობს პარტიის ზრდას, განსაკუთრებით მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებში, და ხელს შეუწყობს ახალი პარტორგანიზაციების შექმნას, ხოლო ამავე დროს არ შეამცირებს რეკომენდაციის მიმცემის პასუხისმგებლობას რეკომენდებულისათვის.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისების პირველი კარის მეოთხე პუნქტთან დაკავშირებით, ჩემის აზრით, საჭიროა ამოღებულ იქნას წესდებიდან მე-7 პუნქტი, რათა წინააღმდეგობა არ იყოს.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების მესამე კარში—პუნქტი 13—ლაპარაკია პარტიულ ორგანოებში საწარმოო - დარგობრივ განყოფილებათა ლიკვიდაციის შესახებ. კიროვის რაიონულ პარტკონფერენციაზე ბევრმა რიგმა დელეგატებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ რაიკომებში, ქალაქკომებში, ოლქკომებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში შეიქმნას სამხედრო - თავდაცვითი ეუმაობის სპეციალური განყოფილებანი, ამ მუშაობის მნიშვნელობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ საეჭვოა ამას დასაბუთება სჭირდებოდეს.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში სავსებით ძალაში რჩება მომქმედი წესები სხვა პარტიებიდან გამოსულთა ჩვენს პარტიაში მიღების შესახებ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 21 წლის მანძილზე სხვა პარტიებიდან ისეთი გამოსულნი პროლეტარული ფენებიდან, რომელნიც ყველაზე ახლოს იდგნენ ჩვენთან, უკვე შემოუერთდნენ ჩვენს პარტიას. საკ. კ. პ. (ბ)-ში მიღების განახლების დღიდან თბილისის პარტორგანიზაციაში არ შემოსულა არცერთი განცხადება პარტიაში მიღების შესახებ სხვა პარტიებიდან გამოსულთაგან.

შემომაქვს წინადადება — პარტიის მომქმედი წესდების მესამე პარაგრაფის განყოფილება „გ“ ამოღებულ იქნას და სამაგიეროდ ჩაიწეროს: „სხვა პარტიებიდან გამოსულნი არ მიიღებიან საკ. კ. პ. (ბ) რიგებში“.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკების) ამხანაგ ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის (1937 წ.) და იანვრის (1938 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებებით და დიდი **სტალინის** ისტორიული მითითებებით შეიარაღებულმა, უდიდესი მუშაობა ჩაატარა ტროცკისტ - ბუხარინელთა და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტთა ბანდიტების გამოაშკარაებისა და განადგურებისათვის. გაძლიერდა კომუნისტებისა და არაპარტიული ბოლშევიკების სიფხიზლე.

საქართველოს ბოლშევიკები—საკ. კ. პ. (ბ) ერთგული რაზმი—ამხანაგ ბერიას მიერ აღზრდილი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინისადმი (ტაში)** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, მონოლიტურად, შემჭიდროებული რიგებით ეგებებიან **ლენინ-სტალინის** პარტიის ისტორიულ XVIII ყრილობას.

ᲐᲛᲮ. Ი. ᲗᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) Ც. Კ-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ

სსრ კავშირის მშრომელები — მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი უაღრესად აქტიურად უჭერს მხარს და ატარებს ჩვენი პარტიის პოლიტიკას. კომუნიზმისათვის ბრძოლა, რომელსაც წინათ ეწეოდნენ მუშათა კლასის მხოლოდ მოწინავე წარმომადგენლები, ამჟამად იქცა უფართოესი სახალხო მასების მოძრაობად. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში გაერთიანდა ორი დიადი ძალა—ხალხი და კომუნიზმი. ხალხისა და კომუნიზმის ამ შეერთებას ამზადებდა ჩვენი პარტიის გმირული ბრძოლა ათეული წლების მანძილზე და იგი განხორციელდა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მტკიცე საფუძველზე. ეს გამარჯვება მიღწეულია ესერების, მენშევიკების, ტროცკისტ-ბუხარინელი ფაშისტი ბანდიტებისა და ხალხის სხვა მტრების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში.

ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკური პარტიის, საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ძირითადად განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის აშენების დიადი ამოცანა. ჩვენი ქვეყანა შეიდგა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ფაზაში. ამასთან დაკავშირებით და პარტიის ახალი ამოცანების შესაბამისად ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებში ასახულია ჩვენი პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, როლის შემდგომი ზრდა, ორგანიზაციული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესება.

მე მინდა წამოვაყენო რამდენიმე შესწორება და დამატება ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებისათვის. ეს წინადადებანი იმათი რიცხვიდანაა, რომლებიც შემოტანილ იქნა რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე და რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების შესახებ. ჩვენ მთლიანად და სავსებით ვიწონებთ ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებში წამოყენებულ წინადადებებს იმის შესახებ, რომ საწარმოო წარმოების, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციების როლისა და საწარმოთა მუშაობის მდგომარეობისათვის მათი პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, მიენიჭოს ამ ორგანიზაციებს საწარმოს ადმინისტრაციის მუშაობის კონტროლის უფლება. ამასთან ერთად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მიენიჭოს ეს უფლება აგრეთვე მტს-ების პარტიულ-ორგანიზაციებს. წესდებაში ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული არა მარტო წარმოებათა და სახალხო კომისარიატთა პირველადი პარტორგანიზაციების, არამედ აგრეთვე დაწესებულებათა, მათ შორის რაიონულ დაწესებულებათა პირველადი პარტორგანიზაციების უფლებები.

ამჟამად მომქმედ წესდებაში აღნიშნულია, რომ პირველადი პარტორგანიზაციის პარტკომს ირჩევენ იქ, სადაც ირიცხება 15 კომუნისტი, ეს ერთგვარ უხერხულობას იწვევდა. მაგალითად, ძველი-სენაკის პარტორგანიზაციაში ირიცხება 16 კომუნისტი, მათგან 4 წევრი და 12 კანდიდატი. წესდების თანახმად ჩვენ იქ უნდა აგვერჩია პარტიული კომიტეტი, სულ მცირე, 3 კაცის შემადგენლობით, მაშასადამე, პირველადი პარტორგანიზაციის 4 წევრიდან სამი არჩეული უნდა ყოფილიყო პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში. ამიტომ სავსებით სწორია ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისების მითითება პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროების შექმნის შესახებ პარტიის წევრთა, და არა კომუნისტთა რიცხვის გათვალისწინებით. მე მიზანშეწონილად მიმაჩნია არჩეულ იქნას ბიურო იქ, სადაც ირიცხება პარტიის არანაკლებ 10 წევრისა, თეზისებში აღნიშნული 15 წევრის ნაცვლად. ეს აუცილებლად საჭიროა იმის გამო, რომ კომუნისტები ტერიტორიულად დაქსაქსული არიან საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში, საჭიროა კოლექტიური ხელმძღვანელობის გაადვილებლად და ახალი კადრების აღსაზრდელად.

ხელმძღვანელი პარტორგანოების მდივნებისათვის პარტიული სტაჟის შემცირება ხელს შეუწყობს პარტიულ სამუშაოზე ახალი კადრების დაწინაურებას პარტიულ მუშაკთა რიცხვიდან. ამავე დროს საჭიროდ მიმაჩნია სრულებით არ განისაზღვროს პარტიული სტაჟი იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის, სადაც ბიუროები არ შეიქმნება. ეს საჭიროა კოლმეურნეობებში ახალი პარტიული ორგანიზაციების შესაქმნელად. მაგალითად, სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩვენ ვვყავს 4 ამხანაგი, რომლებიც მიღებული არიან პარტიის წევრობის კანდიდატებად 1938 წელს. სოფ. ნოქალაქევის კოლმეურნეობა „შრომის ფარსკვლავში“ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის სამი კანდიდატია. ამ კოლმეურნეობაში ჩვენ პარტიის არც ერთი წევრი არ გვყავს. ასეთივე მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა სოფლსაბჭოსა და კოლმეურნეობაში. როგორ მოვიქცეთ — შევქმნათ თუ არა პირველადი პარტიული ორგანიზაცია ამ კოლმეურნეობებში მას შემდეგ, რაც ეს კანდიდატები ვადაყვანილი იქნებიან პარტიის წევრებად? უნდა შევქმნათ, მაგრამ ეს წესდების შესაბამისი არ იქნება, ვინაიდან იქ არ იქნება პარტიის არც ერთი წევრი ერთი წლის პარტიული სტაჟით, რომლის არჩევაც შეიძლება პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია არ დაწესდეს სტაჟი იმ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისათვის, სადაც ბიუროები არ შეიქმნება. ეს შესაძლებელია, ვინაიდან კანდიდატები პარტიის წევრებად გადაყვანამდე იძენენ ორგანიზაციული მუშაობის საკმაო ჩვევებს, ღებულობენ სათანადო პარტიულ აღზრდას და შესძლებენ უხელმძღვანელონ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

ჩვენ მთლიანად და სავსებით უნდა მოვიწონოთ წესდების დამატება პარტიის წევრის უფლებების შესახებ, კომუნისტების საქმეებისადმი ყურადღებით მიდგომისა და მათი გულდასმით გარჩევის შესახებ. თეზისების პირველ თავში, მე-5 პუნქტში, სადაც ლაპარაკია პარტიიდან გარიცხვაზე და გარიცხული პირების პარტიის წევრთა უფლებებში აღდგენაზე, აღნიშნული არ არის, თუ საბოლოოდ ვინ უნდა დამტკიცოს პარტიიდან გარიცხვა იმ რესპუბლიკებში, სადაც ოლქები არ არის. ამიტომ ამ პუნქტს, რომელშიაც ნათქვამია: „...თუ მას დამტკიცებს პარტიის სოოლქო კომიტეტი (სამხარეო კომიტეტი)“, უნდა დაემატოს: „ნაცკომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იმ რესპუბლიკებში, სადაც არ არის ოლქობრივი დაყოფა“.

ამხანაგებო! საქართველოს ბოლშევიკებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის საქმეში. ამხანაგ სტალინის იმ ბრძნულ მითითებათა საფუძველზე, რომლებიც მოგვცა მან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისა) გასწმინდა თავისი რიგები და ჩვენი ქვეყანა ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი - და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტებისაგან, გადაჭრით გააუმჯობესა პოლიტიკური მუშაობა და პარტიის რიგების ზრდა.

ყველა ამ წარმატების ჩვენ მივაღწიეთ უკანასკნელ წლებში, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, ერთგული სტალინელის, ამჟამად საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელის—ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, ამხანაგ სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სტალინურ სახკომს—ამხანაგ ლავრენტი **ბერიას!**

გაუმარჯოს კაცობრიობის გენიოსს, შშობლიურ მამასა და მასწავლებელს, დიდ **სტალინს! (ტაში).**

საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატები: კ. პროზოროვი, პ. თოდუა და ი. ფარცვანია (ზუგდიდის რაიონი). ფოტო რ. აკოფოვისა

ᲐᲛᲮ. Ნ. ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲡᲐᲥ. Ს. Პ. (Ბ) ᲤᲝᲗᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

უდიდესი აღმავლობითა და ენტუზიაზმით შეხვდნენ ქალაქ ფოთის მშრომელები ცნობას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ. სოციალისტური შრომის ახალი მაღალი ნიმუშებით აღნიშნავენ ისინი ყრილობისათვის მზადების დღეებს.

დახურული პარტიული კრებები და XIX საქალაქო პარტიული კონფერენცია კომუნისტების უდიდესი აქტივობით ჩატარდა. კრებების ჩატარებას წინ უსწრებდა გულმოდგინე მზადება. ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვის დროს წამოყენებული იყო მთელი **რიგი** წინადადებები და დამატებები.

ამხანაგები ლაპარაკობდნენ, რომ მესამე ხუთწლედის წლებში საჭიროა ქალაქ ფოთში აშენდეს ეთერავანი ზეთების გამომმუშავებელი ქარხანა ევკალიპტის ნარგავების ბაზაზე, ციტრუსების ნაყოფთა გადასამუშავებელი კომბინატი, გემთსაშენი ქარხანა. გამოსული ამხანაგებიდან ბევრს შემოჰქონდა წინადადება საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში შეტანილ იქნას პუნქტი პარტიაში საბჭოთა კავშირის გმირების მიღების შესახებ მათ მიერ საკანდიდატო სტაჟის გაუვლელად, თანამგრძნობთა ჯგუფების გაუქმების შესახებ და სხვ.

დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება საწარმოებში. მუშები და მოსამსახურეები კონკრეტული საქმეებით აღნიშნავენ პარტიის ყრილობისათვის მზადების დღეებს. ნავსადგურის სტახანოველმა, ეროს დამკვრელმა მჭედელმა ამხ. ბახტაძემ აიღო ვალდებულება განამტკიცოს მის მიერ მიღწეული შესრულება ნორმისა 490 პროცენტით. თავის ვალდებულებას იგი ღირსეულად ასრულებს. თებერვლის 15 დღის განმავლობაში მან გეგმა 507 პროცენტით შეასრულა. საუცხოო შედეგებს მიაღწია მჭედელმა ამხ. მაზუხმა, რომელიც თავის ნორმას 500-ზე მეტი პროცენტით ასრულებს.

ციტრუსოვანი კულტურებისა **და** ევკალიპტების, აგრეთვე ერთწლიანი კულტურების საგაზაფხულო-საზაფხულო დარგვისათვის მზადება მიმდინარეობს დავალებათა ვადაზე ადრე და მაღალი ხარისხით შესრულების ნიშნით.

საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვადაზე ადრე, 15 მარტის ნაცვლად 5 მარტისათვის მომზადდეს ნიადაგი ციტრუსების დასარგავად 241 ჰექტარზე, დამზადდეს სასუქის საჭირო რაოდენობა. ეს ვალდებულება წარმატებით სრულდება. 1 მარტიდან ვიწყებთ ევკალიპტების დარგვას.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახულია უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანები. მესამე ხუთწლედის წლებში ჩვენ უნდა აგითვისოთ კოლხიდის დაბლობის ამოშრობის პირველი რიგის სამუშაოები. ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებში მოცემული მითითებანი კოლხიდის შესახებ აღაფრთოვანებენ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებსა და კოლხიდშენის მთელ კოლექტივს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის პირველი რიგის სამუშაოთა სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

მესამე სტალინური ხუთწლედი ფოთის შემდგომი ზრდისა და კეთილმოწყობისა უდიდეს პერსპექტივებს იძლევა. ფოთის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ღირსების საქმეა გახადონ ქალაქი კოლხიდის ღირსეული ცენტრი.

საქართველოს ბოლშევიკები, აღზრდილნი ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ, ამჟამად შემჭიდროებული არიან ისე, როგორც არასოდეს, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო. ისინი ღირსეულად შეასრულებენ საპატიო ამოცანას, რომელიც მათ წინაშე დასახულია მესამე ხუთწლედის წლებში. **(ტაში).**

ᲐᲛᲮ. Ი. ᲨᲐᲛᲣᲒᲘᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲮᲠᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

ამხანაგებო! საკავშირო კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა იკრიბება იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყანა შეიდგა განვითარების ახალ ფაზაში—უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ფაზაში. ამასთან დაკავშირებით და პარტიის ახალი ამოცანების შესაბამისად ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებში ასახულია ჩვენი პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, როლის შემდგომი ზრდა, ორგანიზაციული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესება.

მე მინდა წამოვაყენო რამდენიმე შესწორება და დამატება ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებისათვის. ეს წინადადებანი იმათი რიცხვიდანაა, რომლებიც შემოტანილ იქნა რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე და რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების შესახებ. ჩვენ მთლიანად და სავსებით ვიწონებთ ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებში წამოყენებულ წინადადებებს იმის შესახებ, რომ საწარმოო წარმოების, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციების როლისა და საწარმოთა მუშაობის მდგომარეობისათვის მათი პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, მიენიჭოს ამ ორგანიზაციებს საწარმოს ადმინისტრაციის მუშაობის კონტროლის უფლება. ამასთან ერთად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მიენიჭოს ეს უფლება აგრეთვე მტს-ების პარტიულ-ორგანიზაციებს. წესდებაში ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული არა მარტო წარმოებათა და სახალხო კომისარიატთა პირველადი პარტორგანიზაციების, არამედ აგრეთვე დაწესებულებათა, მათ შორის რაიონულ დაწესებულებათა პირველადი პარტორგანიზაციების უფლებები.

ამჟამად მომქმედ წესდებაში აღნიშნულია, რომ პირველადი პარტორგანიზაციის პარტკომს ირჩევენ იქ, სადაც ირიცხება 15 კომუნისტი, ეს ერთგვარ უხერხულობას იწვევდა. მაგალითად, ძველი-სენაკის პარტორგანიზაციაში ირიცხება 16 კომუნისტი, მათგან 4 წევრი და 12 კანდიდატი. წესდების თანახმად ჩვენ იქ უნდა აგვერჩია პარტიული კომიტეტი, სულ მცირე, 3 კაცის შემადგენლობით, მაშასადამე, პირველადი პარტორგანიზაციის 4 წევრიდან სამი არჩეული უნდა ყოფილიყო

ᲐᲛᲮ. Რ. ᲓᲐᲠᲑᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

№ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ამხანაგებო! ჯგუფმა მეთაურებისა, წითელარმიელებისა და პოლიტმუშაკებისამ, რომლებმაც წითელი არმიის დღეს დასდეს მუშურ-გლეხური მთავრობისა და სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულების ფიცი, დამავალა გადავცე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობას საბრძოლო მგზნებარე სალამი! **(ტაში).**

ვლაპარაკობთ რა სოციალიზმის უდიდეს მიღწევებზე, ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში მოპოვებულ წარმატებებზე, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც აქვს ჩვენს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას.

სახელოვანი წითელი არმიის მიღწევებზე ვლაპარაკობთ არა მარტო ჩვენ, არამედ ლაპარაკობენ ბურჟუაზიული ქვეყნებიც. საბჭოთა კავშირის გმირების საგმირო საქმეებზე, ჩვენს ტანკისტებზე, მფრინავებზე სწერდნენ ბურჟუაზიული გაზეთებიც. და, ბოლოს, ამხანაგებო, ჩვენი წითელი არმიის ძლიერება და ძალა საკუთარ ტყავზე იწვნიეს გასულ წელს გათავხედებულმა იაპონელმა სამურაებმა.

ხასანის ბრძოლების დროს ჩვენი მებრძოლები მღეროდნენ საყვარელ საბრძოლო სიმღერას, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველ ჩვენგანს შეუძლია გახდეს გმირი.

და ჩვენ ვხედავთ, რომ ხასანის ბრძოლების შედეგად წითელმა არმიამ წამოაყენა ათასობით გმირი არმიელები, რომლებიც დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

წითელი არმიისა და საბჭოთა საზღვაო ფლოტის რიგებში დგებიან ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები.

დიდი აქტივობით იღებდნენ რა მონაწილეობას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისების განხილვაში, წითელარმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს შეეჩოჰქონდათ თავისი წინადადებანი.

ერთერთი ასეთი წინადადება ეხება იმ საკითხს, რომ წითელ არმ

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობა

კამათი ამხ. კ. შეროზიას მოხსენების გამო

1 მარტის დღის სხდომა

ამხ. ა. მირცხულავას სიტყვა

საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი

ამხანაგებო! სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდა პატრიოტები უდიდესი ენტუზიაზმითა და აღფრთოვანებით ეგებებიან ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობას.

ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვამ ბედნიერ საბჭოთა ახალგაზრდობაში ახალი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია. კომკავშირელები და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, წითელ არმიაში ახალ სიუჟრებს უმზადებენ დედა-სამშობლოს.

ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისები ლაპარაკობს ჩვენი პარტიის უდიდეს სიყვარულსა და მზრუნველობაზე საბჭოთა ახალგაზრდობის მიმართ. რაზმის — ლენინურ-სტალინური კომკავშირისადმი. ბოლშევიკურმა პარტიამ კომკავშირელებში აღზარდა მაღალი თვისებანი—მტრებისადმი დაუნდობლობა, სიმტკიცე და ბოლშევიკური პრინციპულობა. კომკავშირელისათვის არ არსებობს იმაზე უფრო მაღალი პატივი, ვიდრე იყოს ჩვენი კომუნისტური პარტიის წევრი და იბრძოდეს მის რიგებში ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის.

კომკავშირი იყო, არის და იქნება პარტიის ერთგული თანაშემწე და მისი დაუშრეტელი რეზერვი. კომკავშირის რიგებიდან პარტია იღებს შესანიშნავ შევსებას. პარტიაში მიღების განახლების დღიდან საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიაში შესასვლელად რეკომენდაცია მისცეს 25.979 კომკავშირელს, პარტიულმა ორგანიზაციებმა მიიღეს 13.240 კომკავშირელი, მათგან 1.237 კოლმეურნე ქალიშვილი და 2.180 კოლმეურნე ვაჟი. ლენინ-სტალინის პარტიამ უდიდესი ნდობა გამოუცხადა კომკავშირს, როდესაც მიანიჭა უფლება მისცეს თავის წევრებს რეკომენდაცია პარტიის რიგებში შესასვლელად, რაც კომკავშირის ხელმძღვანელ მუშაკებს მეტისმეტად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი, გამოდიოდა რა პარტიულ კონფერენციებზე, აგრეთვე გაზეთებში გამოსთქვამდა აზრს, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებს ჩამორთმეოდათ უფლება პარტიაში შემსვლელ კომკავშირელთათვის რეკომენდაციის მიცემისა. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება სწორი არ არის. საქართველოს ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გეგუჩია „კომუნისტში“ გამოვიდა წინადადებით კომკავშირს ჩამორთმეოდა რეკომენდაციების მიცემის უფლება. ეს წინადადება მას არ დაუსაბუთებია. ამხ. გეგუჩიას შეცდომად მიაჩნია, რომ კომკავშირის რაიკომები და საქალაქო კომიტეტები დღემდე რეკომენდაციებს აძლევდნენ კომკავშირელებს პარტიაში შესასვლელად. ნამდვილად კი ეს სრულებითაც არ არის შეცდომა, ვინაიდან ასეა ჩაწერილი პარტიის წესდებაში. სცდება თვით გეგუჩია.

ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებში ნათქვამი არ არის კომკავშირის რეკომენდაციის გაუქმების შესახებ. ეს ავალებს თვითეულ კომკავშირელ მუშაკს დაუღალავად იმუშაოს ახალგაზრდობისა და ბავშვების კომუნისტურად აღზრდის საკითხებზე.

საქართველოს კომკავშირი თავის რიგებში ითვლის 221637 წევრსა და კანდიდატს. მარტო 1938 წლის განმავლობაში კომკავშირის რიგებში მიღებულია 9.000-ზე მეტი კაცი. ეს მრავალათასიანი არმია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისაგან ყოველდღიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას მოითხოვს. მთელი ჩვენი მუშაობა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც საამურად და ბედნიერად ცხოვრობს, აღვზარდოთ ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით.

ეს ბედნიერი ცხოვრება შეგვიქმნა ჩვენმა შშობლიურმა მამამ და მასწავლებელმა, კაცობრიობის გენიოსმა დიდმა **სტალინმა.** (ტაში).

ამხ. ე. ჩერქეზიას სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგან. კიროვის რაიკომის მდივანი

ახალი ამოცანები, რომლებიც დასახულია მესამე ხუთწლედში პარტიის წინაშე, მოითხოვენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შეცვლას.

ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში, რომლებიც გათვალისწინებულია ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში, სავსებით შეესაბამებიან ბოლშევიკების პარტიის ამოცანებს განვითარების ახალ ეტაპზე. საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ამ ცვლილებათა მიღება კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი პარტიის ორგანიზაციულ ძლიერებასა და მონოლიტურ სიმტკიცეს.

გამომდინარეობენ რა ჩვენი საზოგადოების შეცვლილი კლასობრივი სტრუქტურიდან, როდესაც იშლება კლასობრივი საზღვრები მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციას შორის, ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისები ითვალისწინებენ პარტიაში მიღების დროს არსებული კატეგორიების გაუქმებას და პარტიის ახალი წევრების მიღების ერთიანი წესის დადგენას.

პარტიაში მიღების დროს ოთხი სხვადასხვა კატეგორიის გაუქმების დროულობას ადასტურებს მრავალი ფაქტი. ასეთი ფაქტები მრავალია ჩვენი რაიონული პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკაშიც.

ჩვენთან პარტიის რაიკომში დიდი რაოდენობით დევს განუხილავი განცხადებები პარტიაში მე-3 და მე-4 კატეგორიით მიღების შესახებ. ვინ არიან ეს ამხანაგები, რომლებმაც შემოიტანეს განცხადება საკ. კ. პ. (ბ)-ში მიღების შესახებ? ესენი არიან ახალი ადამიანები, ახალი საბჭოთა ინტელიგენცია მუშებიდან და გლეხებიდან, ადამიანები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით მიიღეს უმაღლესი ცოდნა. ჩვენ უკეთ უნდა ვიმუშაოთ ამ ადამიანებთან, შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციისადმი.

პარტიაში მიღების ახალი წესი, რომელიც გათვალისწინებულია ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებით, ავალებს პარტიის რაიკომებს და ყველა პირველადს პარტორგანიზაციას ძირფესვიანად გარდაჰქმნან მთელი ყოველდღიური პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მასებში, კერძოდ ინტელიგენციაში. აქ, რასაკვირველია, საქმე მარტო ლექციებსა და მოხსენებებში კი არ არის, აქ ლაპარაკია საბჭოთა ინტელიგენციის კადრების უფრო გაბედულ, უფრო ფართო ჩაბმაზე საზოგადოებრივ, პოლიტიკურ მუშაობაში, ხოლო ამ კადრებიდან საუკეთესოების — საკ. კ. პ. (ბ) რიგებში ჩაბმაზე.

ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებში გათვალისწინებულია დამატებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებისათვის, რომლებიც ლაპარაკობენ დახურულ (ფარულ) კენჭისყრაზე. პარტიის მასობრივი პეროდიული წმენდის გაუქმებაზე და სხვ. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ გაშლას პარტიულ მუშაობაში, აამაღლებს პარტიული ორგანოების პასუხისმგებლობას პარტიული მასის წინაშე, აამაღლებს პარტიული მასების აქტივობას.

პარტიული ორგანოებისა და პარტიის აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს პარტიის რაიკომებთან არსებული პარტიული კადრების განყოფილების რეორგანიზაცია, მისი გაყოფა ორ დამოუკიდებელ განყოფილებად — კადრების განყოფილებად და საორგანიზაციო — საინსტრუქტორო განყოფილებად. ამის შემდეგ რაიკომის მუშაობა გახდება უფრო ზუსტი როგორც კადრების შერჩევისა და დაწინაურების დარგში, ისე საორგანიზაციო-საინსტრუქტორო დარგში.

ინსტრუქტორის მუშაობას და პარტიის რაიკომის მთელს საინსტრუქტორო მუშაობას დიდი ნაკლოვანებები ახასიათებდა. ხშირად რაიკომის ინსტრუქტორები და მუშაკები პირველადს პარტორგანიზაციებში გამოჩნდებოდნენ ხოლმე მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ორგანიზაციის ესა თუ ის საკითხი ისმებოდა რაიკომის ბიუროს განსახილველად. ინსტრქტორების ძირითადი მუშაობა კი—ეს არის ყოველდღიური დახმარება პირველადი პარტორგანიზაციებისათვის, პარტკომების მდივნებისა და პარტორგებისათვის ინსტრუქციების მიცემა.

ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვის დროს ჩვენი რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიულ კრებებზე შემოტანილი იყო 769 დამატება და წინადადება. ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისების მიხედვით რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ მიიღო შემდეგი წინადადებები: საჭიროდ ჩაითვალოს პარტკომის განთავისუფლებული მუშაკის ყოლა იმ პარტორგანიზაციებში, რომლებშიც ითვლება საკ. კ. პ. (ბ) 100 წევრი და წევრობის კანდიდატი; დაწესდეს პარტკომებისა და პირველადი პარტორგანიზაციების პარტორგების პერიოდული ანგარიშგება კომუნისტების წინაშე ექვს თვეში ერთხელ; საკ. კ. პ. (ბ) წესდების მეორე პარაგრაფი შეივსოს კომუნისტის მოვალეობით, რომ მან იცოდეს სამხედრო საქმის ერთერთი სახე; ჩაითვალოს საჭიროდ, რომ ნაცრესპუბლიკებში სახალხო კომისარიატების პარტკომების მდივნებს ამტკიცებდეს ნაცკომპარტიის ცენტრალური კომიტეტი; საბჭოთა კავშირის გმირები, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ)-ში შედიან, მიღებულ იქნან უშუალოდ საკ. კ. პ. (ბ) წევრებად.

კიროვის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, ისევე როგორც საქართველოს ყველა ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილი და გამოზრდილია დიდი სტალინის მიერ, აღზრდილია ბოლშევიზმის ლენინურ-სტალინურ ტრადიციებზე ამხანაგ ბერიას მიერ, გააკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ახალი დიადი ამოცანები **(ტაში).**

ლტოლვილები რესპუბლიკური ესპანეთიდან საფრანგეთის მოსაზღვრე პუნქტ პერტიუსში. საკადესის ფოტოქრონიკა

კამათი თემთა პალატაში გენერალ ფრანკოს ცნობის საკითხის შესახებ

ლონდონი, 28 თებერვალი (საკადესი). დღეს თემთა პალატაში გაიმართა კამათი ინგლისის მთავრობის მიერ გენერალ ფრანკოს ცნობის საკითხის შესახებ. ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ლიდერმა ატლიმ ოპოზიციის სახელით შეიტანა მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი.

გამოვიდა რა ამ წინადადების დასაცავად, ატლიმ მკაცრად გააკრიტიკა ჩემბერლენის პოლიტიკა. ატლიმ განაცხადა, რომ ჩემბერლენმა განზრახ არ შეატყობინა პარლამენტს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ იცნოს გენერალი ფრანკო, ამით მან შეცდომაში შეიყვანა თემთა პალატა, რათა თავიდან აეცილებინა მისთვის არასასიამოვნო კამათი.

მთავრობის სახელით პასუხით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ჩემბერლენი, რომელიც იცავდა რა მთავრობის გადაწყვეტილებას, იმეორებდა უკვე მის მიერ არაერთხელ გამოთქმულ არგუმენტებს. ინგლისის მთავრობამ, განაცხადა მან, მტკიცედ გადასწყვიტა გადასდგას ეს ნაბიჯი საფრანგეთის მთავრობასთან ერთად, რომლის პოზიცია საბოლოოდ გამორკვეული არ იყო 24 თებერვლამდე.

შემდეგ კამათში გამოვიდა ლიბერალების ლიდერი არჩიბალდ სინკლერი. მთავრობის მოქმედებაში ის ჰხედავს წინასწარ განზრახულ პოლიტიკას, რაც იმისკენაა მიმართული, რომ წაართვას პარლამენტს საშუალება განიხილოს სათანადო საკითხები იმ დროს, როდესაც ამ საკითხების განხილვას შეუძლია გავლენა მოახდინოს მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე.

ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ასანიას გადადგომა

პარიზი, 28 თებერვალი (საკადესი). დღეს შუადღისას ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის საოქმო განყოფილების უფროსმა რივას ჩერიფმა უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს აცნობა იმ წერილის ტექსტი, რომელიც პრეზიდენტმა ასანიამ გაუგზავნა ესპანეთის კორტესების (პარლამენტის) თავმჯდომარეს მარტინეს ბარიოს. ამ წერილში ასანია იუწყება თავისი გადადგომის შესახებ. ეხება რა თავისი გადადგომის მოტივებს, ასანია სწერს: „უცხოელი სახელმწიფოების განსაკუთრებით საფრანგეთისა და ინგლისის მიერ „ბურგოსის მთავრობის“ ცნობა, მართმევს მე აუცილებელ საერთაშორისო იურიდიულ წარმომადგენლობას, რათა ოფიციალური ავტორიტეტით განვაცხადო ის, რასაც მიკარნახებს ესპანელის სინდისი და რაც ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობის უდიდეს სურვილს წარმოადგენს“.

გამოაქვეყნა რა ასანიას წერილი, რივას ჩერიფმა დასძინა, რომ მარტინეს ბარიო, როგორც კორტესების თავმჯდომარე, კონსტიტუციის შესაბამისად, უნდა გახდეს გადამდგარი პრეზიდენტის მოადგილე.

ესპანეთის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 28 თებერვალი (საკადესი). მადრიდიდან იუწყებიან, რომ ესპანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს გუშინ მომხდარი სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა მოწოდება ესპანეთის ხალხისადმი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ „ესპანეთის კომუნისტურ პარტიას კვლავ სჯერა რესპუბლიკური არმიის გამარჯვება, მიუხედავად იმ ძმიმე ზიანისა, რასაც რესპუბლიკისათვის წარმოადგენს კატალონიის დაკარგვა. რესპუბლიკელთა არმიის ძალთა მნიშვნელოვანი ნაწილი შენარჩუნებულია, რესპუბლიკელთა ჯარისკაცებს და მეთაურებს სურთ წინააღმდეგობა გაუწიონ მტერს და უდიდესი გმირობით იბრძოლებენ. ესპანეთის ხალხს, მიუხედავად ძმიმე მსვერპლისა, რაც ომმა მოაყენა მას, არ სურს დანებდეს მტერს, რადგან მან იცის, რომ უცხოეთის ფაშიზმის მონებად გადაქცევა სიკვდილს უდრის“.

ინგლისის პრესის გამოძახილი

ლონდონი, 28 თებერვალი (საკადესი). ოპოზიციური პრესა მკაცრად აკრიტიკებს ინგლისის მთავრობას გენერალ ფრანკოს ცნობისათვის. გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ სწერს, რომ მთავრობის ეს გადაწყვეტილება ლოდიკური დასკვნაა ინგლისის მთავრობის მთელი პოლიტიკისა. „ორნახევარი წლის განმავლობაში მთავრობა ხელს უწყობდა ფრანკოს ფაშისტურ ამბოხებას და ყოველგვარად აფერხებდა ესპანეთის დემოკრატიის დაცვას“. ამჟამად, — სწერს გაზეთი,—ფრანკოს ცნობას იმით ამართლებენ, რომ ესპანეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მის ხელქვეით იმყოფება. სულ ორი კვირის წინათ კი ინგლისის კრეისერი ხელს უწყობდა, რომ ფაშისტებს ხელთ ეგდოთ რესპუბლიკელთა კუნძული მენორკა. „მხოლოდ ახლა შეიძლება გავიგოთ ამ აქტის მთელი ცინიზმი“. ფრანკოს ცნობა, — სწერს დასასრულ „ნიუს ქრონიკლი“, — „სამარცხვინო დასასრულია ინგლისის ისტორიის ერთერთი ყველაზე უფრო შავბნელი ფურცლისა“.

ლეიბორისტული „დეილი ჰერალდი“ მოწონავენში სწერს, რომ ის მეთოდები, რომლითაც ჩატარებულია ფრანკოს ცნობა, თავისი უსირცხვილობით არ ჩამორჩება თვით ცნობის ფაქტს. ესპანეთის „ანონიერი“ მთავრობა არსებობას განაგრძობს. მის განკარგულებაში იმყოფება ტერიტორიის ერთი მესამედი და იმდენად ძლიერი არმია, რომ ჩემბერლენიც კი იძულებულია აღიაროს, რომ ბრძოლა კვლავ გაგრძელდება.

მთავრობის პრესა იცავს გადაწყვეტილებას ფრანკოს ცნობის შესახებ. რისთვისაც იგი მიმართავს იმ თვალთმაქცურ საბაბს, რომ „ბრძოლის განგრძობა გამოიწვევს მხოლოდ შემდგომ სისხლისღვრას“. ამავე დროს ეს პრესა არ ერიდება ცილისწამებას ესპანეთის მთავრობის მიმართ.

ამინდი

1 და 2 მარტს რესპუბლიკის უმრავლეს რაიონებში კვლავ თოვდა. დასავლეთ საქართველოში თოვა დაიწყო 1 მარტს ღამით, ხოლო დღის განმავლობაში ჰქროდა ძლიერი ქარი. ფოთში და ზუგდიდში 8—9 बალის სიძლიერის ქარი იყო. წყარო და მზიანი დარი იყო მხოლოდ სოხუმში, გაგრასა და გუდაუთში. ჰაერის ტემპერატურა უფრიდა გაგრაში 7 გრადუს სითბოს, სოხუმში 5 გრადუს სითბოს, ზუგდიდში 0 გრადუსს, მახარაძეში 1 გრადუს სიცივეს, მესტიაში 3 გრადუს სიცივეს, ტყიბულში 4 გრადუს სიცივეს და ა.შ. 2 მარტს დილით ქუთაისში იყო 2 გრადუსი, მესტიაში 9 გრადუსი, წიფაში 8 გრადუსი, სოხუმში 2 გრადუსი, ფოთში 0 გრადუსი და ქობულეთში 1 გრადუსი სიცივე.

აღმოსავლეთ საქართველოში ძლიერი ქარი ჰქროდა ხაშურის მიდამოებში, თოვდა—მანგლისში, ლუქსემბურგში, ყარაიაში, თიანეთში, დუშეთში, თელავში, გურჯაანში, წნორეზე, ლაგოდეხში, მუკუზანში, და სხვ. 2 მარტს დილის 8 საათისათვის ჰაერის ტემპერატურამ მიაღწია ხაშურში 8 გრადუს, ბორჯომში 7, ბაკურიანში 14, ახასტუმანში 6, იხალციხეში 7, ახალქალაქში 10, გორში 6, მანგლისში, 12, ყარაიაში 5 გურჯაანში 5 და ლაგოდეხში 4 გრადუს სიცივეს.

საქ. ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამმართველოს ამინდის ბიურომ, მიღებული ცნობებით უახლოესი ორი დღის განმავლობაში ამინდის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის.

თბილისში

1 და 2 მარტს თბილისში თითქმის გაწყდა წყვეტილივ თოვდა. ახალი თოვლის სიმაღლე 16 სანტიმეტრს მიაღწია.

ჰაერის ტემპერატურა უფრიდა 1 მარტს საღამოს 7 საათზე 6 გრადუს სიცივეს. ღამით, მიუხედავად იმისა, რომ თოვა გრძელდებოდა, ტემპერატურამ კვლავ დაიწია, ხოლო 2 მარტს დილას 6 გრადუსი სიცივე იყო.

ყაზბეგის მწვერვალზე

ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოროლოგიური სადგურის მოზამთრეები რადიოთი იუწყებიან, რომ უკანასკნელი დღეების განმავლობაში იქ იშვიათი სიძლიერის ქარბუქი მძვინვარებს.

1 მარტს მეტეოსადგურის მიდამოებში ჰაერის ტემპერატურამ 23 გრადუს ყინვას მიაღწია, ხოლო 2 მარტს დილით ყინვა 26 გრადუსამდე ავიდა.

სოფ. ყაზბეგში ამ დროს 11 გრადუსი სიცივე იყო.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი 3 მარტს კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში აწყობს ამხ. **ბამიანის** ლექციას თემაზე: „კომუნისტური მორალი“. რუსულ ენაზე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომსმენელებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე, ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

პარტკალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1480397, გაცემული სომხეთის სსრ სტეპანავანის რაიკომის მიერ ვართან მკრტიჩის-ძე დოხალოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0713814, გაცემული მეორე ქართული ცხენოსანი დივიზიის პარტკომისის მიერ გეჭტორ დავითის-ძე ზარეგბავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0708672, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მიერ მიხეილ სერგის-ძე ჯორბენაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ამხ. ს. შენგელიას სიტყვა

სტახანოველი

„ზარია ვოსტოკას“ კომბინატის მუშა-მოსამსახურეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებას პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ. ამან გამოიწვია შრომითი ენტუზიაზმის მძლავრი აღმავლობა და წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა.

საწარმოო აქტივობის ახალი აღმავლობის შედეგად საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის გახსნის დღისათვის — 25 თებერვლისათვის საბეჭდავმა საამქრომ თვიური გეგმა შეასრულა 111,7 პროცენტით, საამწყობო საამქრომ—105,1 პროცენტით. ცალკეულმა სტახანოველებმა გვიჩვენეს შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშები. მაგალითად, ამხ. ფილიპოვი ყოველდღიურ ნორმას ასრულებს 274 პროცენტით, ამხ. ტკაჩენკო—286,4 ამხ. ჟეიშვილი — 225.8, ამხ. ფროლოვი—297 პროცენტით და სხვ. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ განუყრელია ხალხის კავშირი პარტიასთან. ჩვენი პარტიის გარშემო მჭიდროდ არის შეკავშირებული მთელი საბჭოთა ხალხი, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები.

ჩვენი კომბინატის პარტიულმა აქტივმა, განიხილა რა ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისები, მთლიანად და სავსებით მოიწონა საერთო საკანდიდატო სტაჟის დაწესება მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის პარტიაში შესვლის დროს. ეს თვითეულ პირველადს პარტორგანიზაციას ავალებს კიდევ უფრო სერიოზულად მოჰკიდოს ხელი აქტივის აღზრდას ბოლშევიკური სულისკვეთებით. ჩემი აზრით, საჭიროა შეიქმნას ინსტიტუტი პარტჯგუფორგებისა იმ ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც პარტიის 50 წევრზე მეტია. ისინი დაგვეხმარებიან კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა საამქროში, უბანზე, განყოფილებაში.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ჩვენ კიდევ უფრო ფართოდ გავშლით სოციალისტურ შეჯიბრებას და მივაღწევთ უფრო მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს, კიდევ უფრო მეტად განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას. ჩვენ მთლიანად უზრუნველვყოფთ მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმის შესრულებას.

გაუმარჯოს მესამე სტალინურ ხუთწლედს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს დიდ **სტალინს!**

გაუმარჯოს ქართველი ხალხის ერთგულ შვილს ამხანაგ **ლ. ბერიას!** (ტაში).

ამხ. შ. ჯაშის სიტყვა

№ ნაწილი

თეზისები ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ამხანაგ ჟდანოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ, რომლებიც ძირითადად მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ, წარმოადგენენ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებს, ისინი იწვევენ უდიდესი სიამაყის გრძნობას სოციალიზმის დიადი გამარჯვებათა გამო, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოპოვებულია ბოლშევიკების გმირული პარტიის, მისი ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით. **(ტაში).**

ახალ ვითარებაში, როდესაც ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ეკონომიკა, შეიცვალა მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა და საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, საჭირო აღარ არის პარტიაში ოთხი სხვადასხვა კატეგორიით მიღების წესი და სხვადასხვა საკანდიდატო სტაჟის დაწესება.

ძველზე ხუთწლიანი გეგმის შესრულების ერთერთი პირობას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის ყოველმხრივ განმტკიცება. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ამხანაგ **სტალინის** მითითება კაპიტალისტიკურ გარემოცვის შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე.

ამჟამად თავდაცვა - ავიაქიმის სისტემაში არ არსებობს ისეთი ორგანო, რომელსაც შეეძლოს უზრუნველჰყოს პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა, რის შედეგად თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებში პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა არა დგას სათანადო სიმაღლეზე. მე ვფიქრობ, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ და რესპუბლიკურ საბჭოებთან საჭიროა არსებობდეს პოლიტიკური განყოფილებები, რომელთა უფროსებს დაამტკიცებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტები. თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალურ და რესპუბლიკურ საბჭოებთან არსებულმა პოლიტგანყოფილებებმა უნდა უხელმძღვანელონ თავდაცვის კადრების პოლიტიკურ აღზრდას.

ამავე მიზნით, საჭიროდ მიმაჩნია, რომ თავდაცვა - ავიაქიმის საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან იყვნენ კომისრები.

ბოლოს, პარტიის საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებთან კარგი იქნებოდა შექმნილიყო სპეციალური განყოფილებები, რომლებიც უხელმძღვანელებდნენ თავდაცვით - მასობრივ მუშაობას საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში.

უდიდესი სიხარულით, უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდა მთელი ჩვენი ქვეყანა, ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი ცნობას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ და ამ ყრილობისათვის ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს.

ყველაგან საწარმოები, ქარხნები, ფაბრიკები, კოლმეურნეობები, სასწავლებლებში ჩაებნენ წინასაყრილობო შეჯიბრებაში, აიღეს ვალდებულებები ყრილობის გახსნას შეხვდნენ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით. შეჯიბრება გაიშალა აგრეთვე საზოგადოებრივ-მასობრივი მუშაობის ხაზითაც, რამაც უკვე მოგვცა საუცხოო შედეგები. ეს ფაქტები მოწმობს საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულებას თავისი ბედნიერი სოციალისტური სამშობლოსადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი, მშრომელთა გენიალური მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი.**

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილს ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ორდენოსანი საქართველოს კულტურული და ეკონომიური აყვავება!

გაუმარჯოს მშრომელი კაცობრიობის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ საყვარელ **სტალინს! (ტაში).**

ამხ. კ. შეროზიას მოხსენების გამო კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვების გაგრძელება მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში

ამხ. პ. დაისის სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! ასპინძის რაიონის მშრომელები უდიდესი ინტერესითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისების გამოქვეყნებას.

ჩვენი რაიონის კომუნისტების პარტიულმა კრებებმა მთლიანად და სავსებით მოიწონეს თეზისები ამხ. ჟდანოვის მოხსენებისა „საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ“. თეზისების განხილვის დროს შემოტანილ იქნა მთელი რიგი დამატებები და წინადადებები.

რაიონის მრავალმა კომუნისტმა შემოიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ არ დაწესდეს პარტიული სტაჟი სასოფლო და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების პარტორგებისათვის. ეს წინადადება, ჩემი აზრით, სავსებით სწორია. ამხანაგები გამომდინარეობდნენ იქიდან, რომ ჩვენს რაიონში, და აგრეთვე სხვა რაიონებშიც, პირველადს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში ხშირად არ არიან ერთწლიანი სტაჟის მქონე კომუნისტები. მაგალითად, ჩვენში, ასპინძის რაიონში, არის სულ 6 კომუნისტი ერთწლიანი სტაჟით.

მე ვფიქრობ, რომ ამ წინადადებამ გამოხატულება უნდა ჰპოვოს ჩვენი ყრილობის რეზოლუციაში.

ხალხის მტრები, რომლებიც ასპინძის რაიონში მოქმედებდნენ, ყოველნაირად აბრკოლებდნენ პარტიაში მიღებას. ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ პარტიაში მიღების განახლების მომენტიდან 1938 წლის მაისამდე რაიონში პარტიაში მიღებულ იქნა მხოლოდ 2 კაცი.

საქართველოს კომპარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილება და ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მითითება საფუძვლად დაედო ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას პარტიაში მიღებისათვის მთელი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

1938 წლის ივნისიდან მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე გულდასმით შერჩევის საფუძველზე პარტიის რიგებში მიღებულია 102 კაცი, კანდიდატებიდან პარტიის წევრებად გადაყვანილია 42 კაცი.

მაგრამ პარტიაში მიღების საქმეს ძლიერ აბრკოლებს ის, რომ საკმაო რაოდენობით არ არიან რეკომენდატორები. ჩვენს რაიონში ხომ